პროექტი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

ქ. წყალტუბო -- მარტი, 2025 წელი

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №10 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 010250020.35.122.016671, 31/03/2023) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული წესის (დანართი №1) მე-2 მუხლის მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,2. **ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის საჯარო მოხელეები უფლებამოსილნი არიან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები შეადგინონ:** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55^2, 55^6, 64^2, 77^1, 82^5 (პლასტიკის და ბიოდეგრადირებადი პარკების რეალიზაციის

ნაწილში), 103-ე, 125-ე მუხლების მე-8 და მე-16 ნაწილებით, 125^4, 134^1,$135-135^1$ მუხლებით, 146^1, 148-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 150-ე, 150^1, 151-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 152, 152^2, 152^8, 153^3 მუხლის პირველი,მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153^4, 156^2, 156^4, 158^5 მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 159, 159^1 , 166^2 მუხლებით, საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის" კოდექსის 31–35-ე, 36-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 39-ე მუხლით, 43-ე მუხლის პირველი ნაწილით, 46-ე მუხლით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" მე-80 მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე."

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის (დანართი №1) მე-2 მუხლი მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,3. **ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის საჯარო მოხელეები** უფლებამოსილნი არიან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შეადგინონ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 43^1, 43^2, 46^5, 46^6, 172^8, 172^9, 172^{10} მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე."

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 1 აპრილიდან.

მოამზადა: ნ. მჟავია

შეთანხმებულია: ი. გაბუნია

ნ. ჩაკვეტაძე

გ. ყურაშვილი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4825083194**
თარიღი: **24/03/2025**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გიგზავნით „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების, ჩაბარების, წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 31 მარტის №10 დადგენილებაში ცვლილების შეტანა განპირობებულია საქართველოს კანონი "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში“ განხორციელებული რიგი ცვლილებებიდან გამომდინარე.

გთხოვთ, განიხილოთ.

დანართი ,,2“ ფურცლად.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი